INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.geostm.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 04 ოქტომბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
www.geostm.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
66,67%
57,46%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
62,50%
34,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
27,50%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
36,00%
21,22%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
28,57%
32,67%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
7,14%
19,00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სააგენტოს გენერალური დირექტორის ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და ფაქსის ნომერი:

ამასთან, ვებ-გვერდზე არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება, სათაურად „დირექტორი“, სადაც განთავსდებოდა შესაბამისი ინფორმაცია გენერალური დირექტორის შესახებ.

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, სააგენტოს ელექტრონული ფოსტის მისამართი და ფაქსის ნომერი:



3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის, რეგიონებში განთავსებული ლაბორატორიული მომსახურების ცენტრების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება სააგენტოს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

4. ვებ-გვერდზე მოცემულია სამსახურის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია აქვე მითითებულიც იყოს, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:

5. სასურველია, ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე განთავსებული სააგენტოს ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დასახელება მოიცავდეს აგრეთვე, სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გადასასვლელ ბმულსაც:



სააგენტოს ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გადასასვლელი ბმული მოცემულია მხოლოდ ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „ბმულები“:



6. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სააგენტოს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია, ამასთან, არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება.

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „სააგენტო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სააგენტოს შესახებ“ – „სააგენტო“ მოცემულია სააგენტოს საქმიანობის ისტორიის შესახებ ძალზედ მწირი ინფორმაცია:



7. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სააგენტოს მოქმედი დებულებით განსაზღვრული სააგენტოს მიზნების, ფუნქციების, უფლებებისა და მოვალეობების აღწერა. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „სააგენტო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სააგენტოს შესახებ“ – „სააგენტო“ სააგენტოს მიზნების აღწერა შემოიფარგლება ერთადერთი წინადადებით:

- **სააგენტო**

2005 წლის 4 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის N123 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი -„საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“, რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან.

სააგენტო შექმნილია სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის სფეროში საქმიანობის ორგანიზებისა და განხორციელების მიზნით, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს დამოუკიდებლად, საქართველოს კონსტიტუციის, საერთშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „სტანდარტიზაციის შესახებ“, „გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“, „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონების, სხვა სამართლებრივი აქტებით და სააგენტოს დებულებებით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების სრული ჩამონათვალი; მოიძიება მხოლოდ სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების - რეგიონებში განთავსებული ლაბორატორიული მომსახურების ცენტრების ჩამონათვალი:

  სააგენტოს რეგიონალური მომსახურების ცენტრებია:

  1.ბათუმის მომსახურების ცენტრი

  2. გორის მომსახურების ცენტრი

  3. ქუთაისის მომსახურების ცენტრი

  4.ზუგდიდის მომსახურების ცენტრი

  5. ფოთის მომსახურების ცენტრი

  6. თელავის მომსახურების ცენტრი

  7. რუსთავის მომსახურების ცენტრი

- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციებისა და მიზნების აღწერა; მოცემულია მხოლოდ სტრუქტურული ერთეულების - რეგიონებში განთავსებული ლაბორატორიული მომსახურების ცენტრების საქმიანობის შესახებ მწირი ინფორმაცია:



- სრული სახით არ არის წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია: სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
  ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „სააგენტო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ადმინისტრაცია“ მიმოფანტულად არის წარმოდგენილი სააგენტოს სამი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შესახებ ინფორმაცია:

  პრომეთე შევარდნაძე
  ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი

  ტელ: +995 32 2603906
  ელ. ფოსტა: p.shevardnadze@geostm.ge

  გიორგი ჩიტაძე
  სტანდარტებისა და ტექნიკური რეგლამენტების დეპარტამენტის დირექტორი

  ტელ: +995 32 2603906
  ელ. ფოსტა: giorgichitadze@geostm.ge

  წიწო მიქანაძე
  მეტროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

  ტელ: +995 32 2617757
  ელ. ფოსტა: n.mikanadze@geostm.ge

  (ამასთან, სააგენტოს მოქმედი დებულების თანახმად, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის - მეტროლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, სააგენტოს გენერალური დირექტორის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი, სასურველია ვებ-გვერდზე იყოს აღნიშვნა მოცემულთან დაკავშირებით);

- არ მოძიება სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

➢ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

9. სააგენტოს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილებები), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სააგენტოს საქმიანობის ამსახველი

წლიური ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები, პროგრამები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*

ამასთან, განყოფილებაში „სტანდარტიზაცია“ არსებული ქვე-განყოფილება „ტექნიკური კომიტეტი“ იუწყება, რომ მიმდინარეობს გვერდის განახლება:

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს გენერალური დირექტორის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მისი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში.

11. სააგენტოს ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე მოყვანილია სააგენტოს საქმიანობის ამსახველი ძალმზედ მწირი საინფორმაციო ხასიათის ცნობები. ამასთან, მოყვანილი უკანასკნელი ცნობა თარიღდება მხოლოდ 2011 წლის თებერვლის თვით, რაც საშუალებას არ აძლევს მომხმარებელს გაეცნოს სააგენტოს საქმიანობის შესახებ 2011 წლის თებერვლის თვემდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის ცნობებს:



12. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა სააგენტოს მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სააგენტოს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

13. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „წლიური ანგარიშები“, სადაც განთავსდებოდა სააგენტოს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები.

14. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო. აგრეთვე, სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო.

15. ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში, სათაურად „სააგენტო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საერთაშორისო ურთიერთობები“ – „პროექტები“ სასურველია განთავსდეს აგრეთვე, პროექტების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებებიც:

- **რეგიონალური პროექტი სამხრეთ კავკასიაში**

IAEA
International Atomic Energy Agency
Atoms For Peace

რეგიონალური პროექტი სამხრეთ კავკასიის რეგიონში რადიაციული მეტროლოგიის უზრუნველყოფის ცენტრის შექმნაზე (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი)

1996 წელს საქართველო გახდა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA-International Atomic Energy Agency) წევრი. ამავდროულად, დადგა სამხრეთ კავკასიის რეგიონში (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) რადიაციული უსაფრთხოების საკითხი, რის შემდეგაც გადაწყდა საქართველოში მეტროლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე მაიონიზებელი მეტროლოგიის რეგიონალური ცენტრის შექმნა, რადიაციული მეტროლოგიის განყოფილების სახით. საქართველოსა და IAEA-ს შორის დაიწყო საერთაშორისო ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამა. პროექტის პირველი და მეორე ფაზის ფარგლებში საქართველოში შეიქმნა მეორადი სტანდარტების დოზიმეტრული ლაბორატორია (SSDL) (რადიაციული გამოსხივების დოზის სიდიდის გაზომვა დროის გარკვეულ ერთეულში) და რადიომეტრული და სპექტრომეტრული გაზომვების ლაბორატორია (რადიომეტრული გაზომვები - წივთიერების ჯამური გამოსხივების განსაზღვრისთვის; სპექტრომეტრული - რადიაციული გამოსხივების წყაროების სახეობებისა და გამოსხივების ინტენსივობის განსაზღვრისთვის).

განყოფილების სტრუქტურულ შემადგენლობაშია ლიცენზირებული რეგიონალური მეორადი სტანდარტების დოზიმეტრიული ლაბორატორია (SSDL), რომელიც გაწევრიანებულია სააგენტოს მსოფლიო ჯანდაცვის ქსელში (WHO NETWORK), IAEA-ს ხაზით. განყოფილებაში შედის დოზიმეტრული, რადიოქიმიური და გამოსხივების აქტიურობის განმსაზღვრელი ლაბორატორიები და შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი.

მიმდინარეობს მუშაობა IAEA-სთან მესამე ფაზის დაწყებისთვის, რომელიც ითვალისწინებს რადიო-ქიმიური ლაბორატორიის შექმნას.

16. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილება „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სააგენტოს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სააგენტო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საერთაშორისო ურთიერთობები“ - „საერთაშორისო ხელშეკრულებები“ შეიძლება ითქვას, რომ შიგთავსი ცარიელია, მოცემულია მხოლოდ ორმხრივი შეთანხმების ზოგადი აღწერილობა:



- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

16. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „სააგენტო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საკანონმდებლო ბაზა“ განთავსებულია ძალზედ მწირი რაოდენობის სამართლებრივი აქტები, მათ შორის ორი სამართლებრივი აქტი: საქართველოს კანონი „გაზომვათა ერთიანობის უზრუველყოფის შესახებ“ და საქართველოს კანონი „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ მოცემულია ძველი მდგომარეობით:



სასურველია, მოცემულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს ასევე, სააგენტოს საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და მინისტრის სამართლებრივი აქტები, სააგენტოს გენერალური დირექტორის ნორმატიული აქტები - ბრძანებები და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები - განკარგულებები; გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების დებულებები და სამართლებრივი აქტების პროექტები. აგრეთვე, სააგენტოს მიერ გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის სფეროების სრულყოფისათვის შემუშავებული ნორმატიული ბაზები.

სასურველია აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში აგრეთვე მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმება „ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ“.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „სააგენტო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრატეგია ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროში“ განთავსებული ორი სამართლებრივი აქტი განთავსდეს, აგრეთვე, ზემოთ აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში „საკანონმდებლო ბაზა“:



- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

17. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

18. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სააგენტოში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

19. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სააგენტოსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სააგენტოსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

20. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „ტენდერები“, სადაც განთავსდებოდა სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

21. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სააგენტოს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

22. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება სააგენტოსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სააგენტოს ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსათვის ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე)*

განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/saqstandarti_budget.pdf);

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სააგენტოს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

  http://www.opendata.ge/pdf_files/saqstandarti_xelfasipremia.pdf);

- არ მოიძიება სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სააგენტოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
88,89%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
50,00%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
33,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
63,16%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
0,00%
9. ელექტრონული ჩართულობა
33,33%
10. ელექტრონული სერვისები
16,67%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
46,15%
0
0,2
0,4
0,6
0,8
1

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდის რუკა ჩასმულია არასტანდარტულ ადგილას რუკა უნდა იყოს ჩასმული სპეციალური სიმბოლოს გამოყენებით, ვებ-გვერდის მარცხენა ან მარჯვენა ზედა კუთხეში:



ვებ-გვერდის ნავიგაციის ფონტი საკმაოდ პატარაა და რთულია მისი აღქმა, საჭიროა მისი 2 პიქსელით გადიდება:



- **ძიება**

ძიების მოდულის ტესტირების შედეგად, აღმოჩნდა, რომ შედეგების რაოდენობას ალგორითმი არასწორად ითვლის. მაგალითად თუ ვეძებთ სიტყვა „სამინისტროს“ ვებ-გვერდი გვიწერს, რომ მოიძებნა 2 შედეგი, ხოლო რეალურად ჩანს მხოლოდ 1 შედეგი:



- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

კითხვა-პასუხის გვერდზე, დაშვებულია მექანიკური შეცდომა:

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

ვებ-გვერდის საკონტაქტო ფორმა არ მუშაობს:

ბაჩიძის ქ.
ბულბულაურის ქ.
ხორნაბუჯის ქ.
ბლიანჯას ქ.
ჩარგლის ქ.
მეხრანის II მ.
მეხრანის I მ.
მეხრანის ქ.
ბულბულაშვილის გაზ.
ფრმადელი
M
ქანის ქ.
რატევანის ქ.
შეტყობინება:
test test test

- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდი არ მუშაობს HTTPS პროტოკოლზე:



ვებ-გვერდზე აღმოჩნდა ტექნიკური წუნი, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ვებ-გვერდის ბოროტად გამოყენება:



ჩვენს სპეციალურად არ დავწერთ სად არის დაშვებული შეცდომა, თუმცა საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ტექნიკურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში მივაწვდით სრულ ინფორმაციას;

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე არ არის გათვალისწინებული თანამედროვე ტენდენციები როგორც დიზაინის, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის მხრივ. დაშვებულია პროგრამული შეცდომები მაგალითად, საკონტაქტო ფორმის მოდულში, კითხვა-პასუხის საძიებო სისტემის მოდულში. რაც ძალიან მნიშვნელოვანია დღესდღეობით, ვებ-გვერდი არ არის ინტეგრირებული სოციალურ ქსელებთან.